ტფილისი
საჯარო ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 206
შაბათი, 22 სექტემბერი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12. . .	10 —	6 . . .	6 —
11. . .	9 50	5 . . .	5 50
10. . .	8 75	4 . . .	4 75
9. . .	8 —	3 . . .	3 50
8. . .	7 25	2 . . .	2 75
7. . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877–1901

ივერია

№ 206
შაბათი, 22 სექტემბერი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ქართული თეატრი
კვირას, 23 სექტემბერს 1901 წ.
ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ
წარმოდგენილი იქნება
პირველად ახალი პიესა
I
ირინეს ბედნიერება
სცენები 2 მოქმედებად, თხზ. დ. კლდიაშვილისა.
II
პირველი ბუზი
კომედია 3 მოქმედებად, თარგ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ტასო აბაშიძე, მდივანი, გარელი, აფხაზიშვილი, კავთელი, გივიშვილისა; ბ-ნნი: აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, წყურელი, იმედაშვილი, სარჯველაძე, მირიანაშვილი, ურუშაძე და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ. ფასები ჩვეულებრივია.

ანტრაქტებში დაუკრავს ბ. ლოიკოს მებალალაიკეთა ხორო.

რეჟისორი ვ. აბაშიძე

მზადდება შემდეგი ახალი პიესები: „გაცრუებული იმედები“, კომედია 3 მოქ.; „ჯადო სიყვარულისა“, დრ. 4 მოქ.

(3—6.—1)

ქართველ ქალთა ამხანაგობის
სამკერვალოში და სახელოსნო სკოლაში იღებენ ყოველგვარ საკერავს: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და საცვლებზედ ამოჰკერავენ ნიშნებს (МѢТКИ). ბარონის ქუჩა, № 12.

(10—უ—1)

ექიმი
ვასილი მიხეილის-ძე
მანსვეტოვი
იღებს ყოველ დღე, გარდა კვირა დილისა, ავადმყოფებს შინაგან, ძარღვებისა, საბავშვო და ვენერიულ ავადმყოფობით.

ვოდოვოზნი ქუჩა, ს. ახვერდოვისა, № 29, ძველი სახელმწიფო თეატრის ახლო.

(20—187—18).

ტფილისის კერძო სამკურნალო
ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).
მიხეილ გედევანიშვილისა.
კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი აგიაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

ს. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 9—10 ს.

გ. გ. მაღალაშვილი.—შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის, 10—11 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე ბავშვებისა—11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ა. გ. ბარსუკოვი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

ვ. ლ. მარკოვიჩი.—საქირურგო, $12\frac{1}{2}$—$1\frac{1}{2}$ საათ. სამშაბათობით. 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, $1\frac{1}{2}$—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავათმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო ,ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. [illegible]აპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 6—7 ს. აქირურგო და კანისა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვებისავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 საათ.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7\frac{1}{2}$—8 ს.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნლოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
Навасардiана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ფელეტონი

—

უცხოეთა შორის.

„შეიარაღებული მშვიდობიანობა“.—მოხელეთა რიცხვის გამრავლება საფრანგეთში.—„დამნაშავე“ მოსწავლე-პოლონელთა საქმის განხილვა გერმანიაში.—შვეიცარიელ მოსწავლეთა წრეები და კავშირები.—რა დროა უფრო ბედნიერი ქალისათვის?—განქორწინების მიზეზები და ამერიკელთა უცნაურობა.—უცნაური სტატისტიკა.

ომი დამღუპველია მეომართათვის, მაგრამ არც დღევანდელი ეგრედ წოდებული „შეიარაღებული მშვიდობიანობა“ აყრის ხეირს ევროპის სახელმწიფოებს. ვინ არ იცის, რა დიდ-ძალ ფულსა ჰხარჯავენ და ვალს იღებენ ეს სახელმწიფონი ჯარისა და ფლოტის შესანახად. ის ფული, რომელსაც ჯარსა და ფლოტს ანდომებენ, სახელმწიფოების უპირველეს და უმთავრეს ხარჯს შეადგენს. ციფირები ყველაზედ ნათლად გვიმტკიცებენ ამას. პროფესორ გიკმანის მიერ შეკრებილ ცნობებით, 1899 წელს ევროპის დიდსა და პატარა სახელმწიფოებს დაუხარჯნიათ (ყოველგვარი ხარჯია ნაანგარიშევი) სულ 24,125,000,000 ფრანკი. აი ეს ამოდენა ფული რისთვის მოუნდომებიათ:

	მილიონ. ფრან.	პროცენ.
ჯარი . . .	1,450 . .	6
ფლოტი . . .	4,150 . .	17,2
ვალი (სარგ. გასტ.).	5,777 . .	24
ფინანსებ. მარ.-გამ.	3,200 . .	13,2
სახალხო განათლება.	1,350 . .	5,6
გარეშ. საქმ. სამინ.	412 . .	1,7
მართლ-მსაჯულება.	500 . .	2,1
სხვა უწყებანი .	6,762 . .	28
პენსიები . . .	525 . .	2,2

მაშასადამე, 23,2°/o ჯარსა და ფლოტისთვის მოუნდომებიათ, 24°/o—ვალის სარგებლის გასტუმრებისათვის. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ვალსაც სახელმწიფოები უმთავრესად ჯარის საჭიროებას ახმარებენ, მივიღებთ 47,2°/o-ს შეიარაღების საქმეზედ დახარჯულს.

35 წლის განმავლობაში ევროპას შეიარაღებაზედ დაუხარჯნია 120 მილიარდი ფრანკი. ეს ფული-კი საკმაო იყო ყველა სოფელში სკოლის დასაარსებლად, ყველა ღარიბ ოჯახის ფეხზედ დასაყენებლად და მრავალ სხვა საჭიროების გასაძღოლად.

ეკონომისტის დელიველ გამოანგარიშებით, თვითეულ კაცისათვის ევროპაში საცხოვრებლად საჭიროა 317 ფრანკი. უფრო მდიდარ სახელმწიფოებში, როგორც, მაგალითად, ინგლისსა, საფრანგეთსა და სხვაგან, თვითეულ კაცზედ ამას გარდა მეტი მოდის 650-დგან 40 ფრანკამდე. მაგრამ ღარიბ სახელმწიფოებს, მაგალითად, რუსეთსა, იტალიასა, საბერძნეთსა და სხვას, არამც-თუ საკმაო შეძლება არა აქვთ მცხოვრებთა გამოსაკვებად, არამედ თვითეულ კაცზედ 42 ფრანკი დეფიციტიც მოდის (რუსეთში მეტიც—53 ფრანკი).

—.—

თუ დააკვირდებით ზემო-მოყვანილს ცხრილს, ადვილად მიჰხვდებით, რომ სამხედრო ხარჯს გარდა დანარჩენი ფული უნდება თითქმის სულ მართვა-გამგეობის საქმეს, ბიუროკრატიზმის იმ კიბეს, რომლის ზემო საფეხურსაც სამინისტროები და მინისტრები შეადგენენ, ხოლო ქვემოს — სამაზრო კანცელარიები და უმნიშვნელო მოხელენი, ასე რომ თვით ხალხს, იმ უმრავლესობას, რომლის „დასაცველადაც“ ჯარია მოწოდებული და მოხელენი არიან გამწესებულნი, თითქმის არაფერი ჰხვდება სახელმწიფოს დიდ ძალ ფულიდგან.

არც საკვირველია: ჯართან ერთად ამ ბოლოს დროს მოხელეთა რიცხვმაც იმრავლა. თითქმის ყველგან უჩივიან დღეს მოხელეთა სიმრავლეს და სწუხან იმ დიდ ხარჯის გამო, რომელიც მოხელეობას უნდება. საყურადღებო ცნობებს გადმოგვცემს ამის შესახებ ანრი ბერანჟე. 1846 წელს საფრანგეთში 188,000 მოხელე ყოფილა, 1899 წელს კი 420,000 მოხელე. 1846 წელს მოხელეთა შენახვას უნდებოდა 245 მილიონი ფრანკი. ეხლა-კი 630 მილიონი ფრანკი უნდება.

ბერანჟეს გამოანგარიშებით, 50 ათასი მოხელე მეტი ბარგია საფრანგეთის ხაზინისათვის. იმის აზრით, სულ ტყუილად ეძლევა ჯამაგირი ამ 50 ათას კაცს. ხარჯის გარდა, მოხელეთა გამრავლებამ სხვა ფრიადაც მოუტანა ზარალი სახელმწიფოს: საქმის წარმოება საშინლად გვიანდება, რადგანაც სულ უმნიშვნელო საქმემაც-კი ათასის კაცის ხელში უნდა გაიაროს. პარიჟის ქალაქის საბჭოს წევრი პოლ სტრაუსი სწერდა ამას წინად გაზეთში, რომ უბრალო შუამდგომლობა სოფლის რომელისამე საქმის გამო სულ ცოტა 17 მოხელის ხელში უნდა გაიაროს, ვიდრე ეს საქმე პარიჟამდე მიცოცდებაო. ფრანგულ გაზეთებისავე სიტყვით, საფრანგეთის ერთ ახალშენში ერთად-ერთი სახლობა სცხოვრობდა თურმე, ადგილობრივ ადმინისტრაციას-კი 15-მდე მოხელე შეადგენდა.

მოხელეთა რიცხვის გამრავლებას დიდად შეუწყო ხელი ინტელიგენტ პროლეტარის გაჩენამ. როგორც იგივე ბერანჟე გადმოგვცემს, საფრანგეთში დღეს ათასობით შეჰხვდებით მკურნალებს, ინჟინერებს, ქიმიკოსებს, აგრონომებს, პედაგოგებს, ვექილებს, რომელნიც, ხელობის გამოუყენოპლობის გამო, წლობით ელოდებიან ამა თუ იმ დაწესებულებაში უმნიშვნელო ადგილს. მთავრობაც ახალ ადგილებსა და თანამდებობას აწესებს ამ პროლეტარების გამოსაკვებად. ინტელიგენტ პროლეტართა და მოხელეთა გამრავლებას მარტო საფრანგეთში არა ვხედავთ. ამ მოვლენამ თავი იჩინა აგრეთვე გერმანიასა, ავსტრიასა, იტალიასა, ბელგიასა და სხვაგან. პროლეტარის გაჭირვებამ იქამდე მიაღწია, რომ ავსტრიაში, როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, ვენელ მკურნალებმა შეთქმულობაც მოახდინეს მუშათა წინააღმდეგ, რომელთა სამკურნალო კასსებიდგანაც მათ მეტად მცირე სასყიდელი ეძლევათ.

—.—

ერთი „შეთქმულობა“ ამას წინად გაარჩია გერმანიაში ოლქის სასამართლომ. ჩვენმა მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ გერმანელმა მოხელეებმა სამშობლოს წინააღმდეგ მოქმედება დასწამეს პოლონელ მოსწავლეებს და სამართალში მისცეს ეს მცირე წლოვანი ბრალდებულნი. სასამართლომ აი სწორედ ამ მცირე წლოვან „დამნაშავეთა“ საქმე განიხილა.

საბრალმდებლო სკამებზედ ბავშვები და ჭაბუკნი ისხდნენ—პირველის კურსის სტუდენტები, გიმნა-

ახალი ამბავი

—

⁂ ტფილისის საბრეშუმო სადგურის შენობაში დღეს, 22 სექტემბერს, დილის 10 საათზედ, სხვა-და-სხვა სამეურნეო ცოდნათა გამავრცელებელ სექციის სხდომაა დანიშნული. საღამოთი შეიძლება კრების წევრები სამგზავროდ წავიდნენ სადმე. 23, 24, 25 და 26 კრების წევრები მგზავრობაში და დღესასწაულობაში გაატარებენ, რომელიც საქართველოს რუსეთთან შეერთებისა გამო იქმნება გამართული.

⁂ დღეს, 22 სექტემბერს, ავჭალის ქუჩის სახალხო კითხვათა აუდიტორიაში ქართული წარმოდგენაა დანიშნული. წარმოადგენენ გულისაშვილის დრამას „დრონი მეფობენ“-ს.

⁂ ამ წინაზედ მისს უმაღლესობას პრინცს ალექსანდრე პეტრეს ძეს ოლდენბურგისას სანატორიის გასამართავად და სხვა-და-სხვა კულტურულ მცენარეთა მოსაშენებლად შავი ზღვის პირად გაგარინისეულს სახაზინო მამულში 13 ათასი დესეტინა მიწა ებოძა. ახლა, როგორც გაზეთები იწერებიან, დაუდგენიათ ყოველ წლივ ასი ათასი მანეთი ფულად აძლიონ ათის წლის განმავლობაში.

⁂ განზრახვა თურმე აქვთ პეტერბურგში „აღმოსავლეთის ბანკი“ დააარსონ, რომლისათვისაც 15 მილიონამდე ძირითადი თანხა უკვე შემდგარა. ბანკს მომეტებულ ნაწილად სპარსეთთან ექმნება საქმე. აღნიშნულის ბანკის დაარსებაში რამდენიმე კავკასიელი ფულის პატრონიც თურმე იღებს მონაწილეობას.

⁂ ტფილისის მესამე კლასიკურ გიმნაზიის დირექტორს საერო განათლების სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღუძრავს, რომ სათავადაზნაურო სკოლისათვის დაწყებულ ახალ შენობის მახლობლად ვერაზედ აღნიშნულის გიმნაზიისთვის საკუთარი შენობის ასაშენებლად ხაზინამ 200,000 მან. გადასდოს დ 100,000 მან. კიდევ საამშენებლო თანხიდგან მიეცეთ სესხად.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერს გუბერნატორისაგან მიუღია ახალი წესები, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრს დაუმტკიცებია და რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ მკურნალობისა, გიგიენისა, ბეითალობის და საქონლის მოვლა-მოშენების შესახებ სახალხო კითხვების გამართვის დროს. ნებართვა ამგვარი ლექციების კითხვისა ქალაქებსა, სოფლებსა თუ ქარხნებსა და ფაბრიკებში შეიძლება მიეცეს საზოგადოებათა და აგრეთვე კერძო კაცებს, ვისაც აღნიშნული საგნების ცოდნა აქვს და ადგილობრივი საგუბერნიო ადმინისტრაცია ნებას დაჰრთავსო. წასაკითხი საგნები შეიძლება ნაბეჭდიც იყოს და ხელთნაწერიც.

⁂ მესამე კლასიკურ გიმნაზიის დირექტორის შუამდგომლობისა თანახმად, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს საერო განათლების სამინისტროს წინაშე შუამდგომლობა აღუძრავს, რომ პანსიონში მცხოვრებთა შესატანს ფულს 210 მან. 30 მან. კიდევ მიემატოს.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის სესია ორშაბათს, 24 სექტემბერს, ქალაქ გორში გაემგზავრება სხვა-და-სხვა საქმეების განსახილველად.

⁂ ავდრის გამო გუშინ კავკასიის სამრეწველო-სამეურნეო გამოფენის დასათვალიერებლად ძალიან ცოტა ხალხი იყო.

⁂ კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე გუშინ გორის მაზრაში გაემგზავრა.

⁂ 21 სექტემბერს, დილით, განჯიდგან ტფილისში ჩამოვიდა განჯის გუბერნატორი პოლკოვნიკი ლუცაუ.

⁂ კავკასიის მებაღეთა კრების იმ სექციას, რომელსაც მიენდო გამორკვევა ხალხში სამეურნეო ცოდნის გავრცელების შესახებ, უკანასკნელი სხდომა გუშინ, 21 სექტემბერს ჰქონდა, რომელზედაც განიხილა მოხსენება ნიკიტის საბაღოსნო სკოლის დირექტორის ბ-ნის ტარხოვისა კავკასიაში საშუალო სამეურნეო სასწავლებლის დაარსების შესახებ; ტარხოვის აზრით, კავკასიაში მით უფრო საჭიროა ასეთი სპეციალური სასწავლებელი, რომ აქაური ნიადაგისა და ჰავის პირობები სულ სხვაა, ვიდრე რუსეთში და ამიტომ ადგილობრივის შესწავლის შემდეგ მეურნეთ უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლებათ ხალხისათვის, თუ განზრახულს სამეურნეო სკოლაში სწავლა სრულის პროგრამით იქნება და ამასთანავე სკოლას კარგა ბლომად ადგილი დაეთმობა და მეურნეობას პრაქტიკულად შეისწავლიან. ამ სასწავლებელში სწავლა, ტარხოვის აზრით, 7 წელიწადს უნდა გაგრძელდეს. ბ-ნ ტარხოვის მოხსენებას პრინციპიალურად ყველა დაეთანხმა და გამოსთქვეს სურვილი, რომ საჭიროა კავკასიაში საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი იქმნეს დაარსებული. ზოგიერთა სხვა უმნიშვნელო მოხსენების განხილვის შემდეგ სექციის სხდომა ნაშუადღევის 1 საათზედ დასრულდა.

⁂ პოლიციის პირველ ნაწილში, ოლგას სა'ელობის საბებიო ინსტიტუტის ბაღში, პოლიციელმა ერთის თვის დაბადებული მიგდებული ბავშვი იპოვნა მდედრობითი სქესისა. ბავშვი ოლგას საბებიო ინსტიტუტში იქმნა გაგზავნილი.

შავი-ქვის მრეწველთა საყურადღებოდ.

I

„ივერიის“ 29 აგვისტოს №-ში ნათქვამი გვქონდა, რომ ჭიათურაში არსდება შავი-ქვის მრეწველთა დიდი ამხანაგობა და დაწვრილებითი ცნობა ამ საგანზედ მაშინვე მოვახსენე მკითხველს.

ხუთს ამ თვეს საზოგადოების არჩეულმა კომისიამ მოახდინა ჭიათურაში მრეწველთა კრება, გააცნო საქმის მსვლელობა და დაურიგა ფურცლები აღნუსხულის საკითხებით, რომელშიაც მრეწველთ უნდა ჩაეწერათ პასუხები და წარმოედგინათ კამისიისათვის; პასუხად უნდა მიეცათ, თუ რამდენის ფუთის ქვის ჩაბარებას კისრულობს თითოეული მრეწველი; რამდენი ქცევა მადანი აქვს; რა სოფლებში სახელდობრ, საკუთრებაა თუ იჯარით აღებული; ნებართვა და პლანი აქვთ აღებული თუ არა; რომელ ჯგუფში ირიცხება; ვისგან არის შემდგარი ეს ჯგუფი და სხ. და სხ.

ეს ცნობები საჭიროა კომისიისთვის ძირითად მასალად, რომელზედაც უნდა აშენდეს საქმის საზრიანი ორგანიზაცია. ბევრმა წარმოადგინა ფურცლები ჩაწერილის ცნობებით, უმეტესობას-კი ჯერ არ წარმოუდგენია. სასურველია, მრეწველებმა არ დააგვიანონ ფურცლების გადმოცემა კომისიაში, რომ საქმე არ შეფერხდეს.

კომისიამ თითქმის დაასრულა საამხანაგო წესდების ანუ პირობის შემუშავება და იმედია ამ მოკლე ხანში წარუდგენს მრეწველთ; მერე დაიწყებს ჯგუფების იურიდიულად შედგენას და მათს შეკავშირებას ერთ დიდ ამხანაგობად; ამავე დრო
დაარსდება საერთო გამგეობაც.

ჩვენი ამხანაგობა რომ წარმატ
ბაშია, ეს იქიდან სჩანს, რომ
ბოლო დღეებში მას მოემატა 30-
მრეწველი, და იმედია კიდევ ბევრ
ნი შემოვლენ. მაგრამ ყველაზე
უფრო სასიამოვნო ამბავი ბერლი
ნიდან კომისიის თავმჯდომარის ს
ხელზედ მოსული ბ. როზენბერგი
დეპეშა არის, რომელიც გვატყობი
ნებს, რომ საქმე სრულებით გათა
და და არონ ჰირშმა და მისმა ამხა
ნაგებმა (სინდიკატის წევრებმა) მ
ილეს კანტრაქტი და მოაწერეს ხე
ლით. ამ რიგად, კომისიის შრომა
და მეცადინეობამ არ ჩაიარა უნაყო
ფოდ. ახლა ბ. როზენბერგი იწვევ
ჰირშთან ბერლინში კომისიის თავ
მჯდომარეს ბ. ზდანოვიჩს, სხვა-და
სხვა საჭირო და საგულისხმო საგან
ზედ სასაუბროდ და გამოსარკვევად
და ვექსილების და სხვა თამასუქე
ბის წარსადგენად კანტრაქტის ძა
ლით. ბ. როზენბერგის უკანასკნე
დეპეშიდან-კი სჩანს, რომ ბერლინ
ში დამტკიცებულა სინდიკატ
ფირმის სახელით „მანგანსინდიკატ
(Mangansyndikat g. m b. н.) დ
საქმე ჩვენდა სასურველად მოწყო
ბილა.

ამას იქით, იმედია, მალე მოეღ
ბა ბოლო ამ საშინელ კრიზის
უსაქმობას და მრეწველთა გაჭირვ
ბას, კვლავ გაცხოველდება ჭიათუ
რა და გაჩაღდება საქმე ბევრად უ
რო სასარგებლო და ნაყოფიერი, ვ
ნემც წინად.

საჭიროა ამხანაგობის ყველა წევ
მა-მრეწველმა იცოდეს, რომ თითო
ეულ პირს შეუძლია შევიდეს მხო
ლოდ ერთ ჯგუფში, და არა ო
ან სამში, როგორც ზოგიერთნი ფ
ქრობენ. ჯგუფში შემსვლელ მრ
წველებმა მხედველობაში უნდა მ
იღონ ბაქნების (პლატფორმების
მეზობლობა-კი არა,—არამედ მა

ზიელნი და სემინარიელნი. პირველ ხანს ბრალ-მდებელსა და პოლიციას პასუხის გებაში 180 მოსწავლე მიუცია, მაგრამ შემდეგ 80 კაცი განუთავისუფლებია, რადგანაც იმათ წინააღმდეგ ვერაფერი გამოუჩხრეკია. როგორც საბრალმდებლო ოქმიდგანვე აღმოჩნდა, „დამნაშავენი“ ხშირად ტყეში იკრიბებოდნენ ხოლმე, ღამე, გარეშემო დარაჯებს აყენებდნენ, საქმეებს ასე საიდუმლოდ არჩევდნენ და ახალ წევრებსაც დიდის ფიცის შემდეგ იღებდნენ. განა აშკარა არ არის, რომ ბრალდებულთ გერმანიის დამხობა, იმის წეს-წყობილების დარღვევა და პოლონეთის აღდგენა ჰსურდათ? მართალია, „დამნაშავენი“ ამბობდნენ, რომ ამ ყრილობებზედ წიგნების საკითხავად და სალაპარაკოდ ვიკრიბებოდით, სათამაშოდ და საგიმნასტიკოდ ვეტანებოდით ტყესა, მაგრამ აბა რა დასაჯერებელია ეს სამშობლოს თავდადებულ დამცველთათვის?

მთელი კვირა სცდილობდა თურმე სასამართლო იმის გამორკვევას, რა გვარი და რანაირი იყო „შეთქმულება“, მაგრამ მაინც ვერ გამოარკვია ეს ძნელი საქმე. ყველა ბრალდებულისაგან ერთი და იგივე პასუხი ესმოდა: ვიკრიბებოდით პოლონურ წიგნების საკითხავად და სამშობლო ისტორიის შესასწავლად, რადგან ერთიცა და მეორეც გიმნაზიებში აღკრძალული გვაქსო. ბრალდებულთა დამცველმა განაცხადა: საკვირველი ის კი არ არის, რომ ბავშვები ტყეში იკრიბებოდნენ წიგნების საკითხავად, საკვირველი ის არის, რომ ბრალმდებელმა და მოსამართლეებმა არ იციან ბავშვის ფსიხოლოგია და სამართალში აძლევენ მათ ისეთ უმნიშვნელო რამისათვის, როგორიც ეს საქმეაო.

მოსამართლეებმა მაინც ყურადღება არ მიაქციეს დამცველის სიტყვებს და ამ საქმეს კანონის თვალით შეჰხედეს. გერმანიის კანონის მე-128 მუხლით-კი აღკრძალულია საიდუმლო ყრილობები და კრებები, საიდუმლო საზოგადოებების დაარსება. სასამართლომ ბოლოს, ბევრის თათბირისა და სჯა-ბაასის შემდეგ, გადაუწყვიტა ორ უფროს ბრალდებულს ორ-ორის თვით დაპატიმრება, ათს—ერთის დღიდგან სამ კვირამდე დაპატიმრება; დანარჩენთ ზოგს საყვედური გამოუცხადეს, ზოგნიც უსაყვედუროდ გაანთავისუფლეს. როგორც ჰხედავთ, „აქლემმა რწყილი შობა“ და სხვა არაფერი. თვით გერმანიაშიც ეხლა ბევრნი უსაყვედურებენ პოლიციას და პროკურატურას ამ სასაცილო საქმის დაწყობისა და გაზვიადებისათვის, მაგრამ გვიანღაა...

—.—

გერმანიაში მოსწავლეებს სამართალში აძლევენ წრეებისა და კავშირების შედგენისათვის, სხვაგან-კი მოსწავლეთა წრეებისა და კავშირების დაარსებას თვით მასწავლებელნი და სკოლის მეთაურნი სცდილობენ. შვეიცარიაში, მაგალითად, სასწავლებელი არ არის, რომლის მოსწავლეთაც წრე და კავშირი არა ჰქონდეთ. შვეიცარიის პედაგოგის ერთი უმთავრესი პრინციპი მოსწავლეთა შორის თვით-მოქმედების გაძლიერებას ჰქადაგებს; ხოლო საუკეთესო საშუალებად ამისათვის ადგილობრივ პედაგოგებს მოსწავლეთა წრეები და კავშირები მიაჩნიათ.

როგორცა ვთქვით, ყველა სასწავლებელში არსებობს მოსწავლეთა ამხანაგობა. ასეთი ამხანაგობა თითქმის სრულიად დამოუკიდებელია მთავრობისაგან. საჭიროა მხოლოდ ამხანაგობამ თავის წევრებათ საშუალო სკოლის უფროსი კლასების მოსწავლენი მიიღოს, თავისი წესდება მთავრობას წარუდგინოს და ნებართვა აიღოს დიდ დღესასწაულების ან ყრილობების გამართვისათვის.

წრეები და კავშირები ერთის ხასიათისანი არ არიან. არის სალიტერატურო-სამეცნიერო წრეები, საგიმნასტიკო და სხვ. ისეთი წრეებიც არსებობს, რომელთაც აზრად მოსწავლეთა შორის ლოთობის აღმოფხვრა აქვს. წევრები ხშირ-ხშირად იკრიბებიან, კითხულობენ წიგნებს, რეფერატებს, ან კიდევ ამა თუ იმ საგნის გამოსარკვევად კამათს ჰმართავენ. რეფერატების საგანს შეადგენს ისტორია, ლიტერატურა, პოლიტიკური ეკონომია და სხვ. სამშობლო ლიტერატურის გარდა სწავლობენ ამ კრებებზედ მსოფლიო ლიტერატურასაც. რუსულ ლიტერატურიდგან, მაგალითად, ხშირად კითხულობენ თურმე რეფერატებს ტოლსტოისა, ტურგენევისა, დოსტოევსკისა და იმათ ნაწერების შესახებ.

დიდი სარგებლობა მოაქვთ ლოთობის წინააღმდეგ მებრძოლ წრეებსაც. წევრები ამხანაგებს შორის სიტყვითა და საქმით ქადაგობენ ლოთობის განდევნას, მაგარ სასმელის აღკვეთას.

დიდ ყურადღებას აქცევენ წრეები დროს გატარებასა დ გართობასაც— მღერიან, ლექსებს კითხულობენ, საკრავებს უკრავენ, დაშნაზედ ვარჯიშობენ ან ჭადრაკს თამაშობენ. ხშირად ზაფხულის კარგ დღეებში სეირნობასაც ჰმართავენ, ქალაქს გარეთ მიდიან გორაზედ ასასვლელად ან მინდორში გასასეირნებლად. წელიწადში ერთხელ ან ორჯელ საცეკვაო საღამოებს მართვენ, რომლებზედ გარეშე სტუმრებსაც ეპატიჟებიან ხოლმე. მოსწავლეთა წრ
ებს საკუთარი ყოველ თვიუ
ჟურნალიც-კი აქვთ. შარშან ამ ჟუ
ნალს 700 ხელის-მომწერი ჰყავნდ

„დიდი სარგებლობა მოაქვთ
წრეებს,—სწერს ერთი გაზეთი. მ
სწავლენი წიგნებისა და რეფერატ
ბის კითხვის დროს ცოდნას იძენ
მაგრამ ამას გარდა დალაგებულ მსჯ
ლიაბასაც ეჩვევიან. ხშირად გაკვ
ვებთ თავაზიანობა კამათის დრო
წეს-რიგი კამათისა, პატივის-ც
მოწინააღმდეგისა და იმის აზრის
ეჭვი არ არის, ამ მხრივ სამსახუ
წრეებისა დიდი და დაუფასებელია.

საფრანგეთშიაც ძალიან მეცად
ნეობენ საშუალო სკოლების მ
სწავლეთა წრეების დასაარსებლა
როგორც უკვე შეკრებილ ცნობ
ბიდგანა სჩანს, საფრანგეთში 2,01
მოსწავლეთა წრე ყოფილა. წევრ
ბად 12 ათას სახალხო სკოლ
მოსწავლენი არიან, რიცხვით ნახ
ვარ მილიონი. თანხა, ამ ბავშვ
საწევრო ფულისაგან შემდგარ
ერთი მილიონი მანეთი იქნებ
საიდგანაც წრეები თავიანთ ღარ
წევრებს ეხმარებიან, სასკოლო ახა
შენებს ჰმართავენ დ სხვა საჭიროებ
უძღვებიან. როგორც ჰხედავ
მკითხველო, ბავშვთა ერთობასაც
ბევრი რამ შესძლებია. დიდი სამ
ხური მიუძღვით ბავშვთა კავშირებ

ნების მეზობლობა. ბანქების გაერთიანება ადვილად შეიძლება ერთმანერთში გაცვლა-გამოცვლით, ხოლო მადნების ერთმანერთზედ დაშორება-კი დიდს დაბრკოლებას, უსიამოვნებას და მეტ ხარჯსაც გამოიწვევს, მეტადრე დღეს, როცა სამთო-გამგეობის ბძანების ძალით მაღაროებში მუშაობა შტეიგერის (ტეხნიკის) სასტიკის ზედამხედველობით უნდა სწარმოებდეს. როდესაც-კი ჯგუფის წევრებს მადნები ერთმანეთის მოსამზღვრედ ექნებათ, მხოლოდ ერთი შტეიგერი იყოლიონ და ამით მეტი ხარჯი აიცილონ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ გავრცელებული ხმა, ვითომც სამთო-გამგეობის უფროსი ბ. შოსტაკი აპირებდეს აუკრძალოს მუშაობა იმ მრეწველებს, ვისაც ოთხ დესიატინაზედ ნაკლები მადნები ექნება ერთადო. ბ. შოსტაკის აზრით, პატარა მადნებში წესიერი და გონიერი მუშაობა მოუხერხებელიაო, და ამასთანავე ბევრი მადანი რჩება და იკარგება ტყუილ-უბრალოთო. ჭიათურაში-კი ძლიერ ბევრია იმისთანა მრეწველი, რომელსაც ისე ნაკუწ-ნაკუწი მადნები აქვს, რომ თითოეული ძლივს ქცევის მეოთხედს ან მეხუთედს შეადგენს.

თუ ეს ხმა გამართლდა, მაშინ ბევრს მრეწველს უნდა დაუკეტონ მადნები და აუკრძალონ მუშაობა. ეს განკარგულება აუცილებლად გამოიწვევს იმ მრეწველთა ჯგუფებად შეამხანაგებას, რომელთაც მადნები მოსაზღვრედა აქვთ, რომ საერთოდ ოთხს დესიატინაზედ ნაკლები მაინც არ შესდგეს. ამიტომ ბევრად ემჯობინება და სწრონ ამ განკარგულებას და ვისაც მადნები მოსამზღვრეთა აქვთ, ახლავე შეამხანაგდნენ, თორემ შემდეგ, თუ გამოვიდა შოსტაკის განკარგულება, მუშაობას ძლიერ დააბრკოლებს.

შეიძლება ზოგიერთმა იკითხოს: რა ვქნათ, ვისაც ორ-სამ სოფელში გვაქვს მადნებიო? პასუხი ერთად ერთია: მრეწველმა უნდა აირჩიოს და დაინარჩუნოს რომელსამე სოფელში საუკეთესო მადანი და დაუამხანაგდეს იქაურს მეზობლებსა დანარჩენი მადნები კი ან გასცვალოს, ან გაყიდოს, ან იჯარით გასცეს.—სხვა ღონე არ არის. ბევრად სჯობია მრეწველისათვის ერთს ალაგს ჰქონდეს ერთად ხუთი ქცევა მადანი, ვინემც ხუთ სოფელში ათი ქცევა. ჩვენი უბედურებაც ისაა რომ ყველა ჩვენი მიწა-მამული ეგრე დაქსაქსული და დაპნეულია.

სიმონ ქვარიანი

თეატრის მატიანე

„დაქცეული ოჯახი“, კომ 3 მოქ. სუნდუკიანცისა.

„რეგვენი საქმეს წაახდენს, ფათერაკს დააბრალებს“, ვოდ. თარგმ. აწყურელის მიერ.

ბ-ნ სუნდუკიანცის პიესებს შორის „დაქცეულ ოჯახს“ საპატიო ადგილი უჭირავს. ნიჭიერი ავტორი მადლიანის კალმით გვიხატავს ტფილისელ შუათანა შეძლების ვაჭართა ცხოვრებას, გვაცნობს იმ ხრიკებსა და ჩარჩ-კაიძვერობას, რომელთა წყალობითაც ეს ვაჭარნი სიმდიდრეს იძენენ, აგრეთვე ამ წრის შორის გაბატონებულ ურთიერთისადმი მტრობა-შურს და ყოყოჩობა-ამაყობას. აი, სწორედ ამ შურისა და მტრობის მსხვერპლი ჰხდება პიესის გმირი გულაბაანთ ოსეფა, ეს ჰკვიანი და პატიოსანი ვაჭარი. ვაჭრობა ტყუილსა და ძარცვა-გლეჯაზეა დამყარებული, ამბობს ოსეფა, მე-კი არც ერთი და არც მეორე არ შემიძლიანო. ერთად-ერთი ნაკლი ამ ნიჭიერად და წერილ პიესისა ისაა, რომ იგი ცოტად გაჭიანურებულია; მომქმედნი პირნი ხშირად ერთსა და იმავეს რამდენჯერმე იმეორებენ.

სუნდუკიანცის პიესებს ჩვენი არტისტები ყოველთვის სამაგალითოდ ადგენენ. ზოგიერთი ტიპი ამ პიესებისა ქართულის თეატრის არტისტებმა შეჰქმნეს—აბაშიძემ, გაბუნია ცაგარლისამ და სხვებმა. როგორც ყოველთვის, წარსულ ხუთშაბათსაც არტისტებმა არ უღალატეს თავიანთ თავს და პიესა კარგად და მწყობრად ჩაატარეს. აღსანიშნავია განსაკუთრებით პირველი მოქმედება. ბ-ნმა აბაშიძემ, ქ-ნთ გაბუნია-ცაგარლისამ და ჩერქეზიშვილისამ,—აი ამ სამმა ნიჭიერმა და გამოცდილმა მსახიობმა მეტად ცოცხლად გადმოგვცეს ავტორის მიერ დახატული სცენა. მაყურებელს ავიწყდებოდა, რომ წარმოდგენას უცქეროდა და არა ნამდვილ ცხოვრებას, ისეთის სიცოცხლისა და სინამდვილის ბეჭედი ესო მსახიობთა ყოველ სიტყვას, ყოველ მოძრაობას. უფრო სუსტად ჩაიარა მეორე და მესამე მოქმედებამ. მეორე მოქმედებაში მწყობრად თამაშობას ხელი შეუშალა ქ-ნმა აფხაზიშვილისამ. ამ არტისტმა ქალმა ქ-ნ გაბუნია ცაგარლის ნიჭიერ თამაშსაც-კი დაუკარგა ელ-ფერი იმ სცენაში, სადაც სალომესა და ქალიას ჩხუბი მოსდით. ქ-ნი აფხაზიშვილისა ვერც პასუხს აძლევდა თავის დროზედ და ვერც ჩხუბს ახერხებდა. მესამე მოქმედებაში ბ-ნ აბაშიძეს ის სიცხოველე აღარ ეტყობოდა, როგორც პირველში; შეიძლება იმიტომ, რომ ოსეფას როლი მეტად ძნელი და დიდია და მსახიობს ჰღლის.

უნაკლულოდ თავიანთი როლები ბოლომდე ქ-ნთ გაბუნია-ცაგარლისამ და ჩერქეზიშვილისამ ჩაატარეს. თითქმის შეუძლებელია მოხუც ხახოს როლის იმაზედ უკეთ წარმოდგენა, როგორც ამ საღამოთი ჩერქეზიშვილისამ წარმოადგინა. არტისტი-ქალი საზოგადოებამ რამდენჯერმე ტაშის ცემით დააჯილდოვა. კარგად ჩაატარეს თავიანთი როლები აგრეთვე ტასო აბაშიძემ, შათირიშვილმა, გედევანოვმა და აწყურელმა. ტასო აბაშიძეს, რომელიც ხუთშაბათს ამ სეზონში პირველათ თამაშობდა, ჩვეულებრივი სიმკვირცხლე და სიცოცხლე არ აკლდა. მხოლოდ უკანასკნელ მოქმედებაში უკეთესი იქმნებოდა არტისტ-ქალს მწუხარება სხვანაირად გამოეცხადებინა და არა გულის შეღონებით. ბ-ნ გამყრელიძეს როლის უცოდინარობა ძალიან უშლიდა ხელს.

მხიარულად ჩაიარა კომედიის შემდეგ წარმოდგენილმა ვოდევილმა. ტასო აბაშიძემ მეტად ცოცხლად წარმოადგინა ახალგაზდა და მხიარულ ქალის როლი. გედევანოვი და იმედაშვილი ხელს უწყობდნენ იმის თამაშობას. ბ-ნი აწყურელი ნაკლებად გვაგონებდა მოსკოველ „ფრანტს“. ჩვენის აზრით, ეს როლი ბ-ნ შათირიშვილისათვის უფრო შესაფერია.

დასასრულ, არ შეგვიძლიან რეჟისორის ყურადღება არ მივაქციოთ მესამე ხარისხოვან როლების აღმსრულებელთა გრიმებზედ. ამ საღამოთი, მაგალითად, გრიმები არ უვარგოდათ ურუშაძესა და იმედაშვილს.

ხალხი ცოტა დაესწრო წარმოდგენას.

ია.

დაბა და სოფელი

წერილი ხონიდგან. წელს მისაღები გამოცდა მოსწავლეებისა ჩვენის დაბის სასწავლებლებში 25 აგვისტოდგან დაიწყო. სასწავლებლებს აუარებელი მოსწავლე მოაწყდა, ასე რომ თვითეულს სასწავლებელს 100 და 200 მთხოვნელი ეხვეოდა, მაშინ როდესაც თავისუფალი ადგილი ოცსა და ოცდა ხუთს არ აღემატებოდა. აქაურებს თავი დავანებოთ, მოაწყდა ხალხი ქუთაისიდგან, დ. ყვირილიდგან, სენაკიდგან, გურიიდგანა და სხ. სამასწავლებლო სემინარიაში, მაგალითად, 17 ადგილი იყო, მთხოვნელი-კი 80-მდე იყო.

26 მარიამობისთვეს ხონში საერო სასწავლებელთა მასწავლებლებმა კრება მოახდინეს, რომელსაც 30-მდე მასწავლებელი დაესწრო; კრებამ დაადგინა შესდგეს ქუთაისის გუბერნიის საერო მასწავლებელთა წიგნების გამყიდველი ამხანაგობა, რომელსაც აზრად უნდა ექმნეს როგორც წიგნები, აგრეთვე რვეულები და ყოველ გვარი სასწავლო ნივთები მისაწვდომ ფასად დაუთმოს საერო სასწავლებლებსა და თან წელიწადში ორჯერ ან სამჯერ მასწავლებლების კრება მოახდინონ ხოლმე და აქ იქონიონ მსჯელობა სხვა-და-სხვა საჭირო საგნების შესახებ.

მშვენიერი აზრია, თუ განხორციელებას ვეღირსეთ. ეს აზრი ამ ორის წლის წინად ერთმა ხონელმა მასწავლებელმა წარმოსთქვა, რომელმაც განიზრახა არა მარტო საამხანაგო წიგნის მაღაზიის დაარსება, არამედ საბეჭდავი მანქანების შეძენა და სტამბის გახსნაც, მაგრამ მაშინ ბევრმა სრულიად არ თანაუგრძნო და, დახმარების მაგიერ, მწარედ ჩაიცინა.

სამწუხაროდ, არც მე მჯერა, რომ ამ საქმეს თავი გამოებას, რადგანაც, საუბედუროდ, ათში ორი არ გამოერევა კეთილის გრძნობით გამსჭვალული მასწავლებელი და მეორე უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ საერო მასწავლებელთა შორის ერთობა არ არის.

ამას წინად ქ. ქუთაისში შესდგა საერო მასწავლებელთა საურთიერთო დამხმარებელი საზოგადოება,

დაარსების საქმეში მასწავლებელ ქალებს.

—.—

ერთი ინგლისური ჟურნალი „Ladys Pealin“-ი („დედაკაცთა სამეფო“) ამას წინად თავის მკითხველებს შეჰკითხებია: რა დრო უფრო ბედნიერია დედაკაცთათვისაო? პასუხი მრავლისაგან-მრავალი მიუღია ჟურნალს. უპირველეს ყოვლისა საყურადღებოა, რომ არც ერთ ქალს-კორესპონდენტს ბავშვობის დრო ბედნიერად არ ჩაუთვლია. ქ-ნი დიკსონი სწერს: „განა ბედნიერია ის ბავშვი (ქალი), რომელსაც აწვენენ მაშინ, როდესაც არ ეძინება, აჭმევენ, როდესაც არა ჰშიან, მიჰყავთ იქ, სადაც არ უნდა. ამ მხრივ ვაჟს მეტი თავისუფლება ეძლევა, ვიდრე ქალს, ამიტომ ბავშვობისას ვაჟი უფრო ბედნიერია ქალზედ“.

ბედნიერ დროდ ინგლისელი მანდილოსანნი არც პანსიონში ყოფნის ხანასა სთვლიან. ამ დროს ქალი უფრო ტიკინს წარმოადგენს, ვიდრე ცოცხალს არსებასაო. უთუოდ ქორწინებას და გათხოვებას ინგლისში ფასი სრულიად დაეკარგა, რომ მანდილოსანნი არც იმ დროსა სთვლიან ბედნიერად, როდესაც ქალი გათხოვილია და ოჯახს არის მოკიდებული. დასახელებული დიკსონი აგვიწერს ერთის ქალის ცხოვრებას. 26 წლისას ამ ქალს ყოველივე იმედი გაუცრუვდა, ყველაფერი დაეკარგა, რასაც მოელოდა და რაშიაც ბედნიერებას ჰხედავდა. 20 წლის შემდეგ ამ ქალს უბედურება და ტანჯვა გაუორკეცდა. „ოპტიმისტები ამბობენ, განაგრძობს დიკსონი, რომ უბედნიერესი დრო ქალს ორმოცდა ხუთის წლიდგან უდგებაო. დავაჟკაცებული შვილები ამ დროს გარს ახვევიან, ყველანი თავს ევლებიან და პატივსა სცემენ. მაგრამ ნუ თუ ქალი ამ დროს მართლა ბედნიერია? საუკუნოებით დამტკიცებულია, რომ მშობელთა უთანხმოების უმთავრეს მიზეზს ყველაზედ ხშირად შვილები შეადგენენ. ბევრჯელ მთელ დღეებსა და თვეებს უმწარებს მშობლებს ვაჟის ვალები ან ქალის გადაჭარბებული არშიყობა. ამას გარდა როგორ უნდა იყოს ბედნიერი 45 წლის ქალი, განუწყვეტელის შრომით და შვილების მოვლა-პატრონობით დაუძლურებული და დაავადმყოფებული? ხშირად ამ დროს ქალს ბრძოლაც-კი უხდება კარგად შენახულ ქმართან, რომელიც განზედ 20 წლის ლამაზს მეტოქეს ეკურკურება ხოლმე“...

უბედნიერესი დრო დედაკაცის სიცოცხლეში, სწერს ეველინა ლანგი, სწავლის გათავებიდგან გათხოვებამდეაო. უმრავლესობა ბედნიერ დროდ ქალისათვის სწორედ ამ დროსა სთვლის და აგრეთვე სიბერესა, როდესაც დედაკაცი სრულიად დაუძლურებული არ არის და ჯანი და ღონე ჯერ კიდევ შესწევს. მაგრამ აი, იგივე დიკსონი რასა სწერს ქალთა ახალგაზრდობის შესახებ: „დღევანდელმა კულტურამ გააქრო ტიპი იმ პოეტურ ახალგაზრდა ქალებისა, რომელნიც პეპელებივით დაფრთხიალობდნენ, ყვავილებსა და ბულბულებს შესტრფიალებდნენ და რომელთაც ახალგაზდა ყმაწვილნი თავს ევლებოდნენ. კულტურამ ახალი ტიპი შეჰქმნა, შეჰქმნა ახალგაზრდა ქალები, შრომითა და ჯაფით დატვირთულნი. განუწყვეტელი შრომა ცუდად მოქმედებს როგორც ჯანსა, ისე სულიერ განწყობილებაზედ. წინადვე მომზადებული არსებობის ბრძოლისათვის, ასეთი ქალი ადრევე ებმევა ცხოვრების უღელშიო“. დიკსონი ამტკიცებს, რომ მხოლოდ იმ დედაკაცს შეუძლიან ბედნიერების გამოცდა, რომელიც სამოცი წლისა შესრულდებაო.

—.—

როგორცა ჰხედავთ, ქალები გათხოვებაში ბედნიერებას ვერა ჰხედავენ, მაგრამ გათხოვებას მაინც გულითა და სულით სცდილობენ. ესეც-კია, განქორწინება ისე გაადვილეს ყველგან თუ არა, ზოგიერთ ქვეყანაში მაინც, რომ გათხოვება საშიშს აღარაფერს წარმოადგენს. ამერიკაში, მაგალითათ, განქორწინება სულ უბრალო და ადვილი საქმეა. ადგილობრივ კანონში გასაქორწინებელ მიზეზებად, სხვათა შორის, დასახელებულია: თუ ცოლი და ქმარი ერთმანეთს ვერ ურიგდებიან და თანხმობით ვერა სცხოვრობენ, თუ ცოლმა დაამტკიცა, რომ ქმარი მაწანწალაა, თუ ქმარი ჯვარის დაწერამდე უზნეოდ სცხოვრობდა და მრავალი სხვა.

ამერიკელთა უცნაურობა, ექვი არ არის, ყველამ უწყის. აი ერთი მაგალითი კიდევ. როდესაც პრეზიდენტი მაკ-კინლეი ანარქისტს დაუჭრია, ერთ მღვდელს ეკკლესიაში სიტყვა წარმოუთქვამს, რომლის დროსაც ურიგოდ მოუხსენებია დაჭრილი პრეზიდენტი. მღვდლის სიტყვას საშინლად აუღელვებია ხალხი და აი გაბრაზებულ ხალხს ჯავრი როგორ ამოუყრია: გამოუყვანია მღვდელი გარეთ, გაუხდიათ ტანისამოსი, წაუსვამს ტანზედ ფისი და შემდეგ ბუმბული მოუყრია.

საზოგადოდ, მაკ-კინლეის დაჭრამ და შემდეგ სიკვდილმა ამერიკაში თითქმის ყველანი დააძმარა და დაალონა. ბევრმა სიმწარისაგან თავის-მოკვლაც-კი განიზრახა. ნიუ-იორკში ერთ ახალგაზრდა კაცს ორჯერ უსროლია თავის თავისთვის რევოლვერი. ჩიკაგოში კიდევ ერთ ახალგაზრდა ქალს მაკ-კინლეის გარდაცვალების ამბის მიღებისათანავე თავი მოუკლავს.

—.—

დასასრულ ცოტა რამ სტატისტიკიდამაც. ამ სტატისტიკის ავტორი ერთი ფრანგია, რომელსაც, როგორც ეტყობა, დროც ბევრი ჰქონია და მოთმენაც დიდი. ამ მოცლილ ფრანგს გამოუკვლევია, რომ კაცობრიობა 8,061 ენაზედ, ლაპარაკობს: ევროპა—587 ენაზედ, აზია—896, აფრიკა—276 და ამერიკა—1,264 ენაზედ. დედამიწაზედ მცხოვრებნი, როგორცა სჩანს, ათას სარწმუნოებას აღიარებენ. მამაკაცთა შორის მეოთხედი შვიდ წლამდე ესალმება წუთი სოფელს, ნახევარი—17 წლამდე; 1000 კაციდგან ასს წელს მხოლოდ ერთი აღწევს. დედამიწაზედ სცხოვრობს სულ ერთი მილიარდი სული. ყოველ თვეს იხოცება 91,334 სული, ყოველ საათს 3,700, ყოველ წუთს—60, წამს—1. მამაკაცთა შორის ცოლიანები უფრო დიდ ხანს სცოცხლობენ, ვიდრე უცოლონი, დედა-კაცნი უფრო ხშირად აღწევენ 50 წელს, ვიდრე მამაკაცნი, და მრავალ კიდევ სხვა ასეთ ცნობას გადმოგვცემს ეს უცნაური სტატისტიკოსი.

ი. ა—ძე

წესდებაც შეადგინეს, ხელიც მოაწერეს, მაგრამ ამითი გათავდა საქმე, არც ამორჩეული კომიტეტი და არც სხვა ვინმე ამ საქმისათვის აღარ შეწუხებულა, მიძინებულია. ეჭვი არ არის, მიზეზი საერო მასწავლებელთა დაუდევრობაა და ასრევე მოექცევიან ახალს საქმესაც.

იმ დღეს, როდესაც ხონში კრება მოხდა, ზოგიერთმა ხონელმა მასწავლებელმა პირადი ინტერესები წამოაყენა და განაცხადა, რომ საამხანაგო წიგნის მაღაზიისა და კრებების ადგილათ უთუოდ დ. ხონი იქმნეს დანიშნული. მაშინ როდესაც, თუ ამ ამხანაგობას სახელად „ქუთაისის გუბერნიის საერო მასწავლებელთა წიგნების გამყიდველი ამხანაგობა“ დაერქმევა და არა „ხონელ მასწავლებელთა ამხანაგობა“, უთუოდ ქუთაისში უნდა იყოს ერთიც და მეორეც, რომ ყოველი მაზრის მასწავლებელს შეეძლოს დანიშნულს დროს კრებას დაესწროს. კრებები უთუოდ უნდა მოხდეს მაშინ, როდესაც მასწავლებლები თავისუფალნი არიან, ესე იგი, შობა-ახალწლისა და აღდგომის უქმეებში და ზაფხულობით. საამხანაგო წიგნის მაღაზიასთან უნდა იქნეს უთუოდ დაარსებული თავშესაფარი, რომ მასწავლებელმა სამიკიტნოს მაგიერ წელიწადში სამჯერ-ოთხჯერ იქ გაათიოს ღამე, როდესაც ქუთაისში ჩამოა სასწავლო ნივთების წასაღებად. სასწავლო ნივთებიც ყველა უნდა იშოვებოდეს, წიგნებისა და ნივთების უქონლობა მეტად ხელშემშლელია, ხშირად ორი-სამი კვირა გაივლის და მასწავლებელი ძლივს მოუყრის თავს სასწავლო ნივთებსა და სწავლის საქმეს. როდესაც წიგნის მაღაზიაში ვერ იშოვის საკმაო რიცხვს წიგნებისას, სხვა ქალაქიდგან უნდა გამოიწეროს, ამას წინ და წინ ფული უნდა და მასწავლებელს-კი არ შეუძლიან თავისს ჯიბიდგან გაგზავნოს, უნდა დიდის წვალებით შეკრიბოს მოსწავლეებში კაპეიკობით და შემდეგ გაგზავნოს; ამასობაში-კი დრო გადის და სწავლა შეფერხებულია. ეს არის მიზეზი, რომ ზოგჯერ მასწავლებელს ჯერ სწავლაც ვერ დაუწყია და რევიზორი გაჩნდება ხოლმე, რომელიც, ყოველივე მიზეზების გარეშე, ყველაფერს კანონიერად თხოულობს.

ვლადო ბზვანელი

სასამართლოს მატიანე.

პროცესი „კონტრაბანდისტების გამო.“

18-ს სექტემბერს ქუთაისის ოლქის სასამართლოში დაიწყო გარჩევა ერთის საყურადღებო საქმისა, რომელიც, მთელი ზაფხული, ჩვენს საზოგადოებას ათასნაირი მსჯელობის საგნადა ჰქონდა და ეხლაც დიდად აინტერესებს. ეს გახლავთ სტუდენტების გასამართლეობა ადგილობრივს თეატრში „კონტრაბანდისტების“ წარმოდგენის დროს სტვენა-ხმაურობის გამო.

მკითხველებს ეხსომებათ, რომ პოლიციამ სტუდენტებს და თეატრის გარშემო შეგროვილს ხალხს რაღაც აჯანყება დასწამა და პოლიციის წინააღმდეგობის ბრალი დასდო. საჭიროდ მიგვაჩნია მკითხველებს გავაცნოთ ქვემორე მოყვანილი საბრალმდებო ოქმი. სტუდენტებს იცავს ორი გამოცდილი და დახელოვნებული ვექილი: თ. მელქ. ფაღავა და მოსე ით. ქიქოძე, ხოლო გლეხს აფხაიძეს ახალგაზდა ვექილი ბ. გელაზაროვი.

გასამართლების პროცესი უკეთ გამოაშკარავებს, თუ მართლა 1000 კაცი პოლიციის საწინააღმდეგოდ მოგროვდა, და არა-ჩვეულებრივ: ეს ორი წელიწადი გადის, რაც აქ სახალხო თეატრი დაარსდა. თეატრის დამაარსებელთა საქებრად უნდა ვსთქვათ, რომ საზოგადოება თეატრმა ძლიერ მიიზიდა. გაისმის თუ არა მუსიკის ხმა, თეატრის გარშემო უთვალავი ხალხი იკრიბება: თუ სახალხო წარმოდგენაა, ბილეთს ყიდულობს და შედის, თუ არა და, უკან ბრუნდება, რადგანაც სხვა წარმოდგენა ძვირად უჯდება. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ თეატრის გარშემო ამდენი ხალხი მოგროვდა და სახალხო წარმოდგენით დატკბობის მაგიერ ხათაბალას გადაეკიდა. თორემ „კონტრაბანდისტების“ გაკიცხვა ან სტუდენტების იშველება ხალხს ფიქრად არც კი მოუვიდოდა, რადგანაც არც „კონტრაბანდისტები“ გაუგონია რა არის, და არც სტუდენტებს იცნობდნენ, ვინ იყვნენ და რას თხოულობდნენ.

საბრალმდებო ოქმი.

5-ს მაისს, 1901 წელს, საღამოს, ქუთაისის თეატრში ომარსკის ტრუპამ ითამაშა პიესა „კონტრაბანდისტები“ ანუ „ძენი ისრაილისანი.“ როცა თამაში დაიწყეს და ფარდა ასწიეს, გალერეიაზე ჯგუფად მჯდომარე სტუდენტებმა ასტეხეს ისეთი ხტუნა და ყვირილი, რომ პიესის მოსმენა შეუძლებელი შეიქმნა.

აქ მყოფი პოლიციის ბოქაული ბ კადიეიშვილი ცდილობდა დაეწყნარებინა სტუდენტები, მაგრამ ბოქაულს არა გაუგონეს-რა და სტვენა და ყვირილი, სკამების და ფეხების ბრახა-ბრუხი არ შესწყვიტეს. მაშინ პოლიცმეისტერი, შტაბს-კაპიტანი ლისოვსკი ბალკონზე ავიდა და წინადადება მისცა სტუდენტებს: ან ხმაურობა შესწყვიტეთ, ან თეატრიდგან გადითო; ამასთანავე ურჩევდათ: ნუ მახმარებინებთ ისეთს ზომებს, რომ თეატრს ძალით განგაშოროთო.

ამაზე სტუდენტებმა უყვირეს: „თუ გნებავთ, დაგვატუსაღეთ, ძალით გაგვიყვანეთ და ჩვენის ნებით-კი არ გავალთ, სანამ ამ საზიზღარს პიესას სცენიდგან არ აღებინებთ.“ სტუდენტმა ნიკოლოოზ ლორთქიფანიძემ-კი, თვისი ამხანაგების სახელით, პარტერში მყოფს საზოგადოებას შემდეგი სიტყვით მიმართა: „ვსთხოვ პატიოსანს საზოგადოებას ნუ მოისმენს ამ საზიზღარს პიესას, რომელიც დრამატიულ ხელოვნებას არცხვენს, დამამცირებელია ერისა და შეურაცხ-მყოფელი სარწმუნოებრივი გრძნობისა.“ ამას კიდევ დაუმატა: „ვინც თქვენგანი რიგიანია, თეატრიდგან უთუოდ გავა, ხოლო საძაგელნი და ფლიდნი დარჩებიან.“

პოლიცმეისტერმა, შტაბს-კაპიტანმა ლისოვსკიმ ხელ-ახლა მისცათ წინადადება სტუდენტებს, უწესოება მოესპოთ, თეატრს განშორებოდნენ, მაგრამ სტუდენტებმა ხმაურობა განაგრძეს და თხოულობდნენ, რომ წარმოდგენა დაშლილიყო. მაშინ პოლიცმეისტერმა ლისოვსკიმ პოლიციელებს და ამიერ კავკასიის რაზმიდგან გამოწვეულს დარაჯებს და კურინის პოლკის უიარაღო სალდათებს უბრძანა, რომ სტუდენტები თეატრიდგან გაეყვანათ. როცა ესენი პოლიცმეისტერის ბრძანების აღსრულებას შეუდგნენ, სტუდენტებმა ყვირილი მორთეს: „არ გაბედოთ მოკარება, ხელი არ გვახლოთ.“ ამასთანავე დაიწყეს მუშტების, სკამების და ჯოხების მოღერება. ამის გამო ხმაურობა უფრო გაძლიერდა, წარმოდგენა შეაჩერეს და ფარდა დაეშვა.

ამასთანავე, როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, სტუდენტმა ნ. ლორთქიფანიძემ მუშტი გაარტყა ვიღაც სალდათს და გულში მჯიღი ჩაჰკრა პოლიციის დარაჯთა ურიადნიკს პოდპრუჟნიკოვს, სილა გაარტყა პოლიციელს დეპერტს; სტუდენტმა კირილე ნინიძემ, რომელიც დარაჯებს და სალდათებს იგერებდა და სცემდა მათ, სხვათა შორის, ჰუბაძესაც დაარტყა.

როგორც დარაჯი ჩაჩავა ჰმოწმობს, სტ. ლორთქიფანიძემ მუშტი ჩაარტყა სახეში ერთს სალდათს, რომელსაც ლორთქიფანიძისათვის ხელი არ უხლია, მხოლოდ მიუახლოვდა. ეგრევე დაამოწმა ჟანდარმის ვახმისტრმა რუდაკოვმა და დასძინა, რომ სტუდენტი ლორთქიფანიძე, გარდა იმისა, რომ მუშტსა სცემდა, ვინც უახლოვდებოდა, ერთი ხელი მოაჯირს მოსჭიდა, მეორით სკამს დაებჯინა და წიხლებს გვირთავდაო.

(გაგრძელება იქმნება).

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

20 სექტემბერი.

პეტერბურგი. სახელმწიფო კანტროლერი გენერალი ლობკო 20 სექტემბერს დაბრუნდა.

ბუდაპეშტი. ამბობენ, გუშინდელს არჩევანზედ მთავრობის დასმა გაიმარჯვაო; ოპოზიციის დასები ერთად დეპუტატთა პალატის $^1/_3$ მეტს არ შეადგენენ. ჟურნალ-გაზეთები აღნიშვენ კლერიკალთა საერო დასის უცნაურს შემცირებას; 293 დეპუტატიდგან 197 მთავრობის დასს ეკუთვნის, 52 კოშუტის დასს, 14 კლერიკალთა საერო დასს, ხოლო 7 არც ერთს დასს არ ეკუთვნის; ამორჩეულ იქმნა აგრეთვე სამი სხვა-და-სხვა ეროვნებისა და ერთიც დემოკრატი.

დონის როსტოვი. როგორც ამბავი მოვიდა, გარდაწყვეტილი თურმე კავკავის რკინის გზა გადაკეთებული იქმნეს.

ვარშავა. მორიგი სხდომები საგანგებო კომისიისა, რომელსაც პოლონეთის სამეფოს გუბერნიებში გლეხთა საქმისა გამოკვლევა ჰქონდა მინდობილი, ამ კვირია დასრულდა. კომისიამ წარუდგინა მხარის უფროსს, რომ საჭიროა სასოფლო მმართველობის ორგანიზაციაში გლეხთა მიწის მფლობელობის განსასაზღვრელად ზოგიერთი ღონისძიება იქმნეს მიღებული და საეროზო და სასოფლო გადასახადთა წესი შეცვლილი იქმნესო.

კიევი. მცხოვრები ქალაქის კოეროვისა 18 წლის კოპერკინი დილის 8 საათზედ მესაათე ფრეიდისის მაღაზიაში შევიდა და საათის ძეწკვს შეევაჭრა. ამ დროს უცბად ამოიღო რევოლვერი და ფრეიდისს ესროლა, რომელსაც ტყვია კისერში მოჰხვდა. ბოროტგანმზრახველი შემდეგ მაღაზიდგან გამოვარდა და გაიქცა, მაგრამ დაჭრილი ფრეიდისი თან გამოჰყვა ყვირილითა და სხვებთან ერთად დასაჭერად გამოეკიდა. ელევატორის ზედამხედველმა დნეპრის ნაპირზედ დამნაშავის დაჭერა განიზრახა და გზაზედ გადაეღობა; დამნაშავემ ამასაც რევოლვერი ესროლა, მაგრამ ვერ მოარტყა. დამნაშავე შეიპყრეს. ბოროტ-განმზრახველს მაღაზიის გაქურდვა სდომებია.

გელსინგფორსი. „Финляндская Газета“-ში გამოქვეყნებულია უმაღლესი ბრძანება, რომ უმაღლეს დადგენილებათა და განცხადებათა ეკლესიებში გამოცხადებისა მაგივრად, იმ შემთხვევაში, როდესაც ეს შეუძლებელია, თანახმად მართლ-მადიდებელ სასულიერო მთავრობის განკარგულებისა, აღნიშნულნი დადგენილებანი და განცხადებანი ღვთისმსახურების შემდეგ სამრევლო სახლში ან სხვა რამ ამ გვარს შენობაში იკითხებოდნენ, ხოლო ქალაქებში ქალაქის თვით მმართველობაში ან სასამართლოში.

21 სექტემბერი.

პეტერბურგი. სამხედრო მინისტრის წასვლისა გამო მისი თანამდებობის შესრულება მთავარი შტაბის უფროსს გენერალ-ლეიტენანტს სახაროვს მიენდო. თანახმად სამარის გუბერნატორის მიერ 15 სექტემბერს წარდგენილ ცნობებისა, შინაგან საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ შემდეგი მაზრები სამარის გუბერნიისა: სამარისა, ბუგულმინისა, ნიკოლაევისა, ნოვოუზენისა და სტავროპოლისა მოსავლის მხრივ გაჭირვებულნი არიან.

ასტრახანი. თანახმად ბაქოს გუბერნატორის თხოვნისა, ასტარახნის გუბერნატორმა გააფრთხილა მუშები, რომ ტყუილად სამუშავრის საძებნელად ბაქოში არ წავიდნენ, რადგანაც ნავთის წარმოების საქმე შეჩერებულია და სამუშავარი არ არის. მოსულს მუშებს უკანვე გაჰგზავნიანო.

ნიუ-ორკი. მეორედ გაჯიბრების დროს „კოლუმბიამა აჯობა“ „შამროკს.“

კიევი. უნივერსიტეტის საბჭოს სხდომები დაიწყო, რომელმაც უნივერსიტეტების მოწყობის საქმე უნდა განიხილოს. საბჭომ განიხილა მოხსენება საგანგებო კომისიისა, რომელიც მთელის ზაფხულის განმავლობაში საერო განათლების მინისტრის მიერ წარდგენილს 18 საგანს არჩევდა. კომისიის შრომას შეადგენს ვრცელი, თითქმის ორასი გვერდი, დაბეჭდილი მოხსენება, რომელიც ყველა პროფესორებს გაეგზავნათ. მოხსენებას დაწვრილებით განიხილვენ. განხილვას 1 ოქტომბრამდე მოუნდებიან და შემდეგ ყოველსავე, რასაც დაადგენენ, მზრუნველს აცნობებენ, რომ მინისტრს გაუგზავნოს.

ბაქო. 19 სექტემბერს, საბუნჩაში, ცეცხლი გაუჩნდა ტერ-აკოფოვის ნავთის სამრეწველოს, რომლიდგანაც შემდეგ ცეცხლი მოედო კასპიის-შავის ზღვისას, შამდა ნოვისისა და ბაქოს ნავთის გამყვან ამხანაგობისას; დაიწვა სულ 40 ნავთის კოშკი და ორი ნავთის აუზი. ცეცხლმა შთანთქა ყველა ახალი ნავთის კოშკები, რომლებიც-კი ივნისის ცეცხლის გაჩენის შემდეგ იქმნა აშენებული. მიზეზი არ იციან. ზარალი 200,000 მანეთამდეა.

კოპენგაგენი. ფინანსთა მინისტრმა დღეს საბანკო სინდიკატს დანიის ახალს 43,000,000 ფრანკის 3 $^1/_2$ % სახელმწიფო სესხზედ ხელშეკრულობა დაუწერა [illegible], თუ რომ ამას რიკსდაგი დაამტკიცებსო. სინდიკატში მონაწილეობას იღებენ „ლიონის კრედიტი“, „Banque de Paris et de Pays Bas“, „გერმანიის ბანკი“, ბერლინში, „ვერენის შვილებისა“ გამბურგში, „ნაციონალური ბანკი“, „კერძო ბანკი“, „საგლეხო ბანკი“ და „სავაჭრო ბანკი“—კოპენგაგენში არიან ესენი და ერთიც სტოკგოლმის ბანკი.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მ მოსვლა 6 მაისიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის სა თით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარ პეტერბურგის საათით)

მატარებელი მიდის ტფილისი გან ბათუმში:

სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 11 წამ. (10 საათ. და 9 წამ.), ბათუმში ჩავა საღამოს 7 ს. 58 წ. (8 ს. 56 წ.)

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ., ბათუმში ჩავა დილის 6 ს. 30 წ. (7 ს. 28 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 57 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 6 ს. 48 წ. (7 ს. 46 წ.)

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 7 დღის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს 38 წ.)

ტფილისიდგან ბაქოში

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დილის 9 ს. 17 წ. 10 ს. 15 წ.), ბაქოში ჩადის საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 1 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.), ბაქოში ჩადის დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.),

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 8 ს. 18 წ. (9 ს. 16 წ.), ბაქოში ჩადის დღის 11 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.).

ტფილისიდან ყარსში:

ფოსტის მატარებელი საღამოს 10 საათ. 10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 3 წ. (1 ს. 21 წ.)

ბათუმიდგან ტფილისში:

წრაფი—მატარებელი № 2 საღ მოს 9 ს. 42 წ. (10 ს. 43 წ.). ტფილისშ ჩამოდის დილის 7 ს. 57 წ. (8 ს. 55 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 საღ მოს 10 ს 17 წ. (11 ს. 15 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 38 წ. (8 ს. 36 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათობით დილის 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ. ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 საღ. მოს 10 ს 15 წ. (11 ს. 13 წ.), ტფილისში მოდის, დღის 4 ს. 13 წ. (5 ს. 11 წ.

სამგზავრო მატარებელი № [illegible] დღის 12 ს. 27 წ. (1 ს. 25 წ.) ტფილისში მოდის დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.).

განცხადება

გამგეობა

ქუთაისში წყლის მილის გამყვან ა. დ. მიხაილოვისა და კომპ. ამხანაგობისა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ პირველ სერიის პაიები გავიდა და გამოცემულ იქმნა მეორე სერიის პაიები.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში, გამგეობის კანტორაში, ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლში, და ქუთაისს ამხანაგობის კანტორაში. (3—207—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21-го Сентября 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.